

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1 9 4 8

ქ. ბათუმი, 14 მაისი 2018 წ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა კერძო საკუთრებაში არსებული მიწისა, სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე დამაგრებული მიწებისა და მიწისა, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო ქონებაზე და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას.

აღნიშნული ნიშნავს, რომ ის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებიც საჯარო რეესტრში არ არის დარეგისტრირებული, ასევე არ არის და არც სამომავლოდ ექვემდებარება არც სახელმწიფო ქონებაზე და არც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას, ექვემდებარება მხოლოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციას, რა დროსაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს არ ესაჭიროება არც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, არც სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს და არც სხვა რომელიმე უწყების თანხმობა, არამედ საჭიროა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შესაბამისი მიმართვა წარადგინოს საჯარო რეესტრში და მოითხოვოს მიწის ნაკვეთების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე: 1) ქ. ბათუმში, დასახლება მახინჯაურში მდებარე 3,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; 2) ქ. ბათუმში, დასახლება მახინჯაურში მდებარე 5,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; 3) ქ. ბათუმში, დასახლება მახინჯაურში მდებარე 147,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; 4) ქ. ბათუმში, დასახლება მახინჯაურში მდებარე 476,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; 5) ქ. ბათუმში, დასახლება მახინჯაურში მდებარე 1366,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 6) ქ. ბათუმში, დასახლება მახინჯაურში მდებარე 945,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ექვემდებარება საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციას, რადგანაც ის საჯარო რეესტრში არ არის დარეგისტრირებული, ასევე არ არის და არც სამომავლოდ ექვემდებარება არც სახელმწიფო ქონებაზე და არც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი წესით დამაგრებას, არამედ ექვემდებარება მხოლოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციას, რა დროსაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს არ ესაჭიროება არც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, არც სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს და არც სხვა რომელიმე უწყების თანხმობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის) სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე:

ა) ქ. ბათუმში, დასახლება მახინჯაურში მდებარე 3,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

ბ) ქ. ბათუმში, დასახლება მახინჯაურში მდებარე 5,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

გ) ქ. ბათუმში, დასახლება მახინჯაურში მდებარე 147,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

დ) ქ. ბათუმში, დასახლება მახინჯაურში მდებარე 476,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

ე) ქ. ბათუმში, დასახლება მახინჯაურში მდებარე 1366,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

ვ) ქ. ბათუმი, დასახლება მახინჯაურში მდებარე 945,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონებები წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ დამატებით ქონებას.

3. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განახორციელოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავ ქონებებზე.

4. ბრძანების შესრულება დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს (ე. ლომამე).

5. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებებზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების პოლიტიკის და განკარგვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი 61001010495).

6. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი